კვირა, 21 ივნისი. ფასი 10 კაპ.

# მათრახი და სალამური



№ 2

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი




## ამბავი ახალშენის „აშენებისა“.

**წინასიტყვაობა.**

დუმილი რო გაგვიგრძელდა
ეს სურათი დაგვიძველდა
**ამბავი ტარიელისა.**
ანგარიში რომ მოსთხოვეს
ჩვენს სევასტის ეცა ელდა.

იჯდა როგორც ბაყ-ბაყ მდევი
საყვედურის ვინ გაუმხელდა
ხალხი უხვად მოდიოდა...
სამოსახლოს შეიძენდა,
ვინ იცოდა, თუ ბოლო დროს
ის თავს ასე შეირცხვენდა,

ცუდლუტი.

## ზაქარას იმედი.

### I.

მიდის ზაქარა იმედიანათ,
ცოლშვილს ამ სიტყვით გამოეთხოვა:
„დღეს ფულს ავიღებ, ყველას დაგმოსავ:
შეგიმცირდებათ ტანჯვა და გლოვა!!!
ეს მეხუთე ჯერ მიემგზავრება
ეოფილის ადის ის სახლისკენა:
ყველა გზობაზე დღეს მას მეტი აქვს
ფულის მიღების იმედი, რწმენა!
უკანასკნელათ ადამ მოძღვარმა
გამოისტუმრა ასე ზაქარა:
„იმ დღეს რომ მოხვალ-გაგისწორდები,
დღეს კი არა მაქვს არც ერთი ფარა:
ჯერ დრამის ფულიც ხომ იცი, შვილო,
არ მოუციათ, არ მიმიღია?!
და ჩემი სარჩო, სამტერ-სამოყვრო,
მოჯამაგირის ქისაც იგია.
ისვებსავით მე ხალხს არ ვავიწროებ
როცა მომღემენ, უფალს მადლობა!
და თუ მე ვითმენ—შენც მომითმინე,
შვილო, იმ დრომდი!.. რა გაეწყობა!..“
არა რა უთქვამს მისთვის ზაქარას,
თუმცა სათქმელათ ეწოდა გული,
მაგრამ ჩაიკლა იქვე ის გრძნობა
და შინ დაბრუნდა დაღონებული!..

### II.

— „შვადღე მშვიდობის, მამაო სვიმონ!“
ეხლა მოძღვარს ჩვენი ზაქარა,
კრძალვით გაჩერდა მის შორი-ახლოს
და მტყუანივით თავი დახარა.
თითქოს ითხოვდა ის მოწყალებას
და არა-შრომის მცირედსა ფასსა,
რისთვისაც მეტ წილ მშიერ მწყურვალი
ის მუშაობდა მთელს წელიწადსა!
მას ეძახოდენ მოჯამაგირეს,
სხვის მინაყმასა, სხვის კარზე მწოწავს;
მტერიც ამ სიტყვით ნიშსა უგებდა,
მოკეთებიც სჯიდნენ საცოდავს.
მაგრამ რას იქდა? სხვა გზა არ იყო
და ზაქარამაც ის აირჩია,
თუმცა გავიდა ვადა და ადას
მისთვის ჯერ გროშიც არ მიუცია!
— „არ არის, შვილო, ფული! რა გიყო?
კვლავ მომითმინე ორიოდ კვირა:
დრამაც სრულიად არ მიმიღია,
შემოსავალმაც მეტად მექვირა.
კაი დღეებიც კარზე მოგვადგა,
ხომ იცი—ხარჯი დიდი მომელის?
თორემ მეც ვიცი თუ რა ძნელია
მდგომარეობა შენებრ მშრომელის!..“
ზაქარას ელდათ მწარე ნაღველი
გულზე მოაწვა და მოელოდა!
დღეს მაინც იგი ხელცარიელი
გამობრუნებას ადრე ელოდა!
ეს მეხუთე ჯერ გაწბილებული
ის კვლავ სახლისკენ მიედინება
და ნუ თუ თავს არ ჰკითხავს, რომ ასე
ის სხვას სანამდის ეჩაგვრინება?!..

ნ. ზომლეთელი.

## მათრახი ბათუმისათვის.

### № 1.

(მოხსენება კვინწარისა)

**მოკლე პასუხი.**

წავიკითხე თქვენი ღია ბარათი, თქვენო მაღალ-უეშმაკეულესობავ, წავიკითხე და ვთქვი: არა არს ეშმაკი უეშმაკესი გარეშე ჩვენი ეშმაკისა მეთქი. თქვენი კვინწარი უიმისოდაც მზად იყო წარმოედგინა მოხსენებანი თქვენსა წინაშე, მოუთმენლად უცდიდა მხოლოდ კვლავ გაშლას მათრახის კუდისას და რაკი ესე უნებებია თქვენს უეშმაკეულესობას, ბათუმელი ეშმაკი, აღვსილი სიხარულითა კვალად იწყებს კურთხევითა თქვენითა და ძალითა თქვენი ფირმანისათა მოქმედებასა რწმუნებულსა მის რაიონში. რაც შეეხება გუდისა ბლიკვაძისასა, არამედ მხოლოდ დიდი ხნით უქმად გდებისა გამო იმა გუდისა დაობებასა; ამასთან იმასაც გატყობინებდათ, რომ გუდა იგი გასწმინდა ბლიკვაძემ და, მაშასადამე, ტყავი ტიტე ართმელაძისა საჭირო აღარ არს და რომც დაძველებოდა გუდა ბლიკვაძესა, ტყავსა ართმელაძისასა ის მაინც არ მიიღებდა, ვინაიდან ტყავსა ტიტესას ბევრად ემჯობინება ტყავი სხვა რომელიმე ცხოველისა.

შემდგომად ამისა გადავალ პირდაპირსა ჩემსა მოვალეობაზე.

მას შემდეგ, რაც რომ თქვენმა უეშმაკეულესობამ კეთილ ინება დროებით მისი კურთხეულ მაღალ ღერიან მათრახისა დაკეცა, ბევრი ღირსშესანიშნავი სამათრახო ამბები მოხდა ჩემდამო რწმუნებულ რაიონში. ყოველ კუთხეში ჩაყენებულმა ჩემმა პატარა ეშმაკებმა ბევრი მასალა მომაწოდეს. მასალებსა ამას კვლავ წარმოვუდგენ თქვენს კურთხევასა. დაე კვლავ იგემონ აწ მათრახისა წვერისა ძალა ბრტყელმა ბექებმა სამათრა-

ხო გვამებისამან. მაშ სმენა იყოს და გაგონება. უსმინეთ ჩემ კორესპონდენტებს, პატარა ეშმაკებს.

თქვენი **კვინწარი.**

## მოხსენებანი კვინწარს.

**ქალაქის საავადმყოფო ანუ სამკვდრეთი, ანუ კიდევ უფრო გასაგებათ: სამფლობელო ბაყაყთა.** დიდი ეშმაკისაგან ფირმან ბოძებულო კვინწარო! ფრიად ძნიადი საქმე მომანდეთ. ჩემი რაიონი, ქალაქის საავადმყოფო, სივრცითა არ არის დიდი, მარა დიდ და ცნობილ არს სამათრახო არსებებითა. აღწერა ამა არსებათა საქმეთა საგმიროთა ბევრ დროსა და ბევრ ქაღალდის დახარჯვას მოითხოვს. აქ ისე გრძლად გადასწოლია საავადმყოფოს სამათრახო ამბები, რომ მოკლეთ აღნუსხვა ამ ამბებისა შეუძლებელია. თქვენ კი როცა აქ მნიშნავდით, რამდენჯერმე მითხარით: გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმისო... ამიტომ ყველაფერს ვერ გადმოგცემთ. მოგაწვდით ცოტ-ცოტაობით. აქ ამ ჟამად დიდი გამოცოცხლებაა. სამნი გვამნი წარმოევლინენ საავათმყოფოს სარევიზიოთ. რევიზორთა შორის პირველია პარმენა, მუდმივი რევიზორი ბაყაყეთისა ამისა. განქიქეს წიგნნი და იხილეს მუნ განქიქება ქანქართა, ე. ი. გურულისა ტერმინითა—ყლინწვა ქანქართა საამებლათ ბევრისა გაუძღომელი მუცლისა. ასვარია ყოფილა საავათმყოფოს ზედამხედველათ შარშან დაყუდებულ, ხოლო ამ ჟამად გამოყუდებულ ბერეჟიანის გარშემო, დასვარია ყოფილა იმა ზედამხედველის თანაშემწის ხომერიკის ირგვლივ, ორთავეს შორის კი ეს თვისებები ერთად შეერთებულა და გამოსულა ასვარია-დასვარია. ასვარია ყოფილა ხარჯებში და ამას წარმოუშვია დასვარია წიგნებში: წიგნების დასვარიის ოპერაცია მოუხდენია ხომერიკს, რასაც შედეგათ მოყოლია თითქმის ერთი წლის განმავლობაში 300 ქანქარის მიფუჩეჩება. გადაიმასქნა ყოფილა ანგარიშებში; ერთი სიტყვით, ყოფილა მუნ ყლინწვა დიდი ქანქართა და ვაება დიდი საავათმყოფოს კასაში.

ესოდენ ქანქართა ჩაყლინწებამან და განქიქებამ ამა საქმეებისამ წარმოშვეს ლიტერატორნი. ჩაილიტერატურა სარევიზიო კომისიამ. მოხსენებამ თვითმართველობისადმი ამა კომისიისამ წამოჰყო თავი აქაურსა გაზეთში, რომელი გაზეთიც ამა რევიზიამდე იყო ყურმოჭრილი ყმა აქაურ თვითმართველობის ბურჯთა, ხოლო რევიზიისა შემდეგ იქცა დიდ მტრად იმავე ბურჯთა. რევიზიის ლიტერატურას ზედ მოაყოლა ორ ფელეტონათ ლიტერატურა თვისი ბერეჟიანმა. ბერეჟიანის ლიტერატურას მოყვა რევიზორ პარმენ გამყრელიძის ლიტერატურა, ხოლო ამას—ლიტერატურა ხომერიკისა. ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ ყველაფერი მდგომარეობაზე არ არის დამოკიდებულიო. გაჩნდა მდგომარეობა (ამ შემთხვევაში ყლინწვა ქანქართა) და ამ მდგომარეობამ წარმოშვა ლიტერატორნი. ეს მდგომარეობა რომ არ ყოფილიყო ბერეჟიანს, ან ხომერიკს რა გაალიტერატორებდა!..

ამ საქმის ლიტერატურა გვაუწყებს:

**ლიტერატურა სარევიზიო კომისიისა:** საავათმყოფოში ყოფილა ყლინწვა ქალაქის ქანქართა. ამ ყლინწვის დასაფარავად საანგარიშო წიგნის ჯამში შეუყლინწავთ სამასი ქანქარი; ამავე მიზნით გადახდილად უჩვენებიათ გადაუხდელი ანგარიშები, რაშიაც თავისი წილი დახმარებისა არ დაუშურებია მყლინწველთათვის ნოქარსა ერთსა. უყლინწავთ აგრეთვე სხვა ანგარიშებშიაც. საავათმყოფოში ასეთი ოპერაციის მოხდენისათვის თავისი სავარძლებიდან გადმოყუდებულ უნდა იქნენ ბერეჟიანი და ხომერიკი.

**ლიტერატურა ბერეჟიანისა:** ბერეჟიანი წმინდაა, ვით გაზაფხულის ცივი ცა. ყველაფერში დამნაშავეა ხომერიკი და გამყრელიძე. პირველმა გადაასწორა უსწორობისაკენ სწორი ჯამი საანგარიშო წიგნისა, მეორემ გამოართვა ბერეჟიანს ასი მანეთი ბარათით და რაკი ეს ასი მანეთი უკანვე მოითხოვა ბერეჟიანმა, წამლები ასი ქანქრისა გაწყრა და გადაიხადა რა ფული, შური იძია ბერეჟიანზე მოითხოვს სარევიზიო კომისიას, ხმოსნებისაგან შემდგარს.

**ლიტერატურა გამყრელიძისა:** ტყულია!.. ასი მანეთი მე არ გამომირთმევია ბერეჟიანისათვის... არავითარი ბარათი მე მისთვის არ მიმიცია.

**ლიტერატურა ხომერიკისა:** როგორ არა, ძმაო პარმენ! წაიღე, ნამდვილად წაიღე ასი მანეთი. თქვენი ბარათი სხვებმაც ნახეს... მე ამდრომდის ვდუმდი, მიტომ რომ თქვენ შემპირდით, რომ ჩემს ალაგზე დამტოვდით, ან სხვა ალაგს მომცემდით. ახლა კი გამიწყდა ძაფი მოთმინებისა და აი ვყვირი კიდეც გასაგონად ყოველთა არსთა, რომ ასი მანეთი ნამდვილად წაიღეთ, ნამდვილათ...

ასეთია გარეგანი მხრით საქმის ძდგომარეობა, ბ-ნო კვინწარო. როგორც ხედავთ, საქმე ფრიად მყრალი არს. შინაგანი მხარე კი ამ საქმისა კიდევ უარესია. აქ არის თავმოყრილი ჩვენი მცონარე ინტელიგენტების განუკურნებელი სენი: შენ-ჩემობა, ინტრიგა, ღვარძლიანობა და სხვა მარგალიტები. ჯერ ეს. სხვები შემდეგ.

დარაჯი ბაყაყეთის რაიონისა **პატარა ეშმაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რეზოლიუცია კვინწარისა:** მოხსენება ესე წარედგინოს დიდს ეშმაკს შესაფერი განკარგულების მოსახდენათ. სხვა მოხსენებათა წარდგენა გადაიდოს შემდეგისათვის.

**კვინწარი.**

ეშმაკთა-ეშმაკმა და ეშმაკეულმა უსაზღვრო სიამოვნებით მოვისმინეთ მოხსენება ბათუმელთა ჩვენთა ერთგულ ეშმაკთაგან შესახებ „ბაყაყეთის“ ეგზომ აყვავებისა და ვსთხოვთ კვინწარს მოახსენოს პატივცემულ სამებას (გამყრელიძე-ბერეჟიანხომერიკს) ჩვენი გულითადი მადლობა.

**ეშმაკთა-ეშმაკი.**

---

*
* *

მინდა ვიტირო,
ცრემლი ვიდინო,
ვიკვნეს-ვიგლოვო მე ჩემი დღენი...
შავათ მოვირთო,
აღარ გავირთო...
რისთვის? არ ვიცი, თუ მწამს გამჩენი!..
იქნებ მაკვნესებს,
გულს მასობს ნემსებს
აწმყოს, წარსულის მიმოგონება
და ხელით კრულსა,
შხამ დაისრულსა,
კაეშან დარდი გულს მეკონება...
ან ღამე შავი,
გაუხეშავი
არ თავდებოდეს, სულს მიხუთავდეს
და ბუს ძახილი,
როგორც მახვილი
გულს მესობოდეს, ნელა მკუწავდეს?..
იქნებ ბორკილის
სიცოცხლის მღილის,
გულს მიწყლულებდეს გარაჩხუნება
და მაფიქრებდეს
თან მატირებდეს
ხუნდ დადებული გრძნობა და ნება?..
ან იქნებ ტოლის,
სულისა სწორის
გულს მიჩხრილავდეს სატრფოს დაკარგვა,
უმეგობრობის,
ეულის გრძნობის
შედეგი იყოს ცრემლთ ნადენი ზღვა...
არა, არ ვიცი,
იწამეთ ფიცი,
მინდა ვიტირო მხოლოთ მე დღენი,
შავათ მოვირთო,
აღარ გავირთო...
რისთვის? არ ვიცი, თუ მწამს გამჩენი!..

**ვ. მალაქიაშვილი.**

# კრიტოსის საკითხი.

ჯერ იყო და ავსტრია-სერბიის გამწვავებულმა დამოკიდებულებამ ლამის გააჩაღა ომი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ეს უთანხმოება დაცხრა დამთავრდა ავსტრიის გამარჯვებით. მან შეისყიდა ოსმალეთის ნაწილი ბოსნია-გერცოგოვინა. როგორც თავის დროზე აღნიშნული იყო, ამ საკითხში სასტიკათ დამარცხდა რუსეთის დიპლომატიაც. მას შემდეგ არ გასულა ნახევარი წელიწადი და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე კვლავ დადგა ომის სუნი.

ამ შემთხვევაში საომარ ფეხზე დგებიან: ოსმალეთი და საბერძნეთი. მიზეზი ომისა კრიტოსის კუნძულია.

კრიტოსის კუნძული ხმელთა შუა ზღვისა და არხიპელაგის შუა მდებარეობს. სივრცით სულ შვიდრვა ათასიოდ ოთხკუთხ ვერსს უდრის და მცხოვრებთა რიცხვიც ბევრით არ აღემატება 400000 სულს. მცხოვრებთა უმცირესობას ქრისტიანები შეადგენენ, რომელთა შორის უმრავლესობა ბერძნებია, ხოლო უმცირეს ნაწილს ოსმალოები.

კუნძული კრიტოსი ერთობ მთიან გორებიანია, მეტათ ნაყოფიერი და ნაზი ბუნება აქვს. აქ თითქმის ყოველგვარი მცენარე ხარობს და კარგ მოსავალსაც იძლევა. ჰავა კუნძულზე ძლიერ საღია.

კრიტოსის კუნძული ძლიერ ხშირათ გადადიოდა ერთი სახელმწიფო-ს მფლობელობიდან მეორისაში: ქრისტეს დაბადების წინა წლებში ის რომაელთა სამფლობელოს შეადგენდა. შემდეგ გადავიდა ბერძნების ხელში. მეცხრამეტე საუკუნეში, ქრისტეს შემდეგ, ამ კუნძულს არაბები ფლობდენ. არაბების შემდეგ ისევ ბერძნებმა დაისაკუთრეს. 1204 წლებში მას გენუდელები და ვენეციანელები განაგებდენ, ხოლო 1668 წლიდან დაიპყრეს ოსმალებმა. მას შემდეგ ე. ი. 229 წლის განმავლობაში კრიტოსის კუნძულს ოსმალოები განაგებდენ.

1897 წელს კუნძულზე შეტაკება მოხდა ოსმალოებსა და ბერძნებს შორის, რამაც გამოიწვია ბერძენ-ოსმალთა ომი და საქმეში ევროპის სახელმწიფოთა ჩარევა კუნძულზე დაარსეს ცალკე სამთავრო, რომელიც დამოკიდებულია ოსმალეთისგან, მაგრამ ამასთანავე იმყოფება ოთხი სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და რუსეთის) მფარველობის ქვეშ. წესიერების აღსადგენათ სახელმწიფოებმა იქ ჩააყენეს თავისი რაზმები განსაზღვრული ვადით, რომელიც ახლო მომავალში გათავდება.

საბერძნეთს დიდი ხანია კრიტოსის შეერთების




სურვილი მოსვენებას არ აძლევს მაგრამ ეს ხალისი უფრო გაეზარდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთის შინაური ცხოვრება რევოლიუცია-კონტრევოლიუციისაგან ცოტა აირ-დაირია. აკი ავსტრო-ვენგრიამ ისარგებლა ამ კრიტიკული მდგომარეობით და ბოსნია-გერცოგოვინა ჩამოაცალა; ბოლგარიამ დამოუკიდებლობა აღიდგინა და სხვ. საბერძნეთმაც სწორეთ ახლა შეურჩია დრო და კრიტოსის საკითხი პირველ რიგში წამოაყენა. ამას როგორც მოგახსენეთ იმან შეუწყო ხელი, რომ ახლო მომავალში მფარველი სახელმწიფოები თავიანთ ჯარებს გამოიყვანენ და კუნძული გამოურკვეველ პირობებში რჩება.

როგორც ოსმალეთი, აგრეთვე საბერძნეთი ენერგიულად ემზადებიან ყოველ მოსალოდნელ შემთხვევისათვის და მშვიდობიან ცხოვრებას საფრთხეს უმზადებენ.

ვნახოთ რას მოგვიტანს ახალი მომავალი.

# უფასო ბილეთი.

(დასასრული. იხილე „მათრახ-სალამური“ № 1).

უკვე წვიმა დაეწყო. გამტვერიანებული ქუჩები ატალახიანებული იყო. წვიმისაგან დასველებული სახლები, დაღვრემილი გამოიყურებოდენ. გარშემო რაღაც მძიმე, ნოტიოს სუნი იდგა და ცუდათ მოქმედებდა ადამიანზე. ცა, თითქო ვიღაცას კუპრით გაუმურავსო, ისე იყო პირმოქუშული. აგარაკში სიწყნარე იყო. მხოლოდ აქა იქ პატარა, ბინძურ დუქნებიდან მოისმოდა მოქეიფე ხალხის სიმღერა.

— წავიდეთ!—გაუბედავათ მიმართა ბესომ.

— სად? მე აქ ნაცნობი არავინ მყავს.

— სასტუმროში წავიდეთ. აქ სასტუმროებია.

ნორას პასუხი არ გაუცია ისე გაყვა. „არა, ეს ისეთი კაცი არ არის, ამხანაგი, ამისთანა საზიზღარ რამეს არ გაიფიქრებს, გავჩერდებით სასტუმროში და დილაზე გავბრუნდებით“ გაიფიქრა ნორამ. ბესო იმედებით აღივსო, როცა ნორა ხმა ამოუღებლივ გაყვა. „ალბათ ისე ლაპარაკობდა, თორემ თვითონ უარს არ იტყვის. მივალთ სასტუმროში და ყველაფერი მოწყვება“

მიადგენ ერთ პატარა სასტუმროს, სადაც ერთი ოთახი აღმოჩნდა თავისუფალი. ბესომ უბრძანა ოთახის გაღება.

— მობრძანდით, ბატონო, ოთახი მზათ გახლავთ, მიიწვია ისინი მოსამსახურემ. ისინი შევიდენ ოთახში.

— თქვენი ოთახი სად არის?—შეეკითხა ნორა, როცა ოთახში შევიდენ.

— როგორ თუ სად არის? აი ოთახი!

— მე სადღა დავიძინო? სხვა ოთახი არ არის?

— მე მგონია ორივე მოვთავსდებით ამ ოთახში და ერთმანეთს არ შევჭამთ? ნორას ამ სიტყვებზე რაღამაც საშინლათ უკბინა გულზე, მან შეხედა ბესოს და მის მსუნაგ თვალებში რაღაც ამოიკითხა. ის შიშმა შეიპყრო.

— ხუმრობას თავი დაანებეთ! არის მეორე ოთახი აქ?

— მე არ ვხუმრობ! რათ გიკვირთ ასე ჩემი სიტყვები? განა არ შეიძლება ორივენი ამ ოთახში მოვთავსდეთ?

— ეგ ყოვლად შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე არ მსურს უცხო კაცთან ერთ ოთახში ვიწვე.

— მე რა უცხო ვარ, მე ხომ „ამხანაგი“ ვარ და განა ამხანაგებს არ შეუძლიათ ერთ ჭერ ქვეშ ყოფნა? თქვენ რომ ქალი ხართ და მე კაცი ეგ არაფერს არ ნიშნავს.

— გინდ ამხანაგი იყავი და გინდ ძმა, მე არ მსურს მამაკაცთან ერთად ყოფნა, მორჩა და გათავდა. თუ დამითმობთ ამ ოთახს კარგი თუ არა და მე თვითონ მოვნახავ სხვას.

— საკვირველია ღმერთმანი. ვერ წარმომედგინა თუ თქვენც ასეთი ვიწრო შეხედულობის იყავით. აი, ბატონო იმ ლოგინზე თქვენ მოისვენეთ და აქ მე მოვისვენებ.

— ბევრი, რომ ილაპარაკოთ ტყუილათ თავს დაიღალავთ, დარწმუნდით, რომ მე თქვენთან ერთ ოთახში არ დავიძინებ.

— თუ არ დაიძინებთ და რაც გინდათ ის ქენით—ბრაზიანათ წამოიძახა ბესომ და სკამზე ჩამოჯდა.

— მაშ თქვენ აქ დარჩით და მე სხვაგან მოვძებნი ოთახს.

ნორა კარებისკენ წავიდა. ბესომ დაინახა, რომ მისი ოცნება ქრებოდა, ხელიდან უსხლტებოდა თავის მსხვერპლი. აქ თვალთმაქცობა და მიკიბ მოკიბვა აღარ გამოადგებოდა. ის საბოლოოთ უნდა გამოტეხილიყო თავის განზრახვაში და ხელიდან არ გაეშვა ნორა. ამ გადაწყვეტილებას ის უცბათ დაადგა, ერთის გადახტომით ნორას დაეწია, მკლავში ხელი დასტაცა და უკან წამოათრია

— შენ ვერ წახვალ! შენ აქ უნდა დარჩე! მე მინდა გავძღე შენთან საამოვნებით—მხეცური ღიმილით წარმოსთქვა მან და კბილები გააკრაჭუნა—ჩემის ხელიდან ვერ წახვალ.

ნორას თავზარი დაეცა, ის მიხვდა მთელ საშიშროებას, ის მიხვდა, რა საზარელ მდგომარეობაში ჩავარდა. საჭირო იყო გამბედაობა, უკანასკნელ ძალ-ღონის მოკრეფა და ამ მხეცის ხელიდან დასხლტომა.

— საზიზღარო! მხეცო! მაშ ეს გინდოდა, როცა აქეთ მეპატიჟებოდი? ეს იყო შენი განზრახვა? არასოდეს! ვერ ეღირსები შენი მხეცური ჟინის მოკვლას, მე შემიძლია დავიცვა ჩემი პატიოსნება—საშინელი ზიზღით წარმოსთქვა მან, უკანასკნელი ღონე მოიკრიფა, რაც ძალა და ღონე ქონდა ერთი მაგარი სილა სთხლიშა პირის სახეში და სანამ ბესო გონს მოვიდოდა ამ მოულოდნელი შემთხვევით, ელვის სისწრაფით კარებში გავარდა და გაქრა სიბნელეში.

ნორამ უცნობ ქალაქის ბნელ ქუჩაში ამოყო თავი. ის გაჩერდა ერთ ალაგას. მკვდრული სიჩუმე, ატალახებული ქუჩები, მოკუპრული ცა და თავპირ

ჩამომტირალი სახლები ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდენ ნორაზე. მას საშინელი სევდა შემოაწვა ის გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა სად წასულიყო· ჯიბეში მხოლოდ ერთი მანეთი ქონდა. „წავალ სხვა სასტუმროში, მანეთათ ოთახს ვიქირავებ და დავიძინებ, დილა ადრიან უკანვე გავსწევ, ამ გადაწყვეტილებით ის გაყვა ქუჩას და მიადგა ერთ სასტუმროს. ის შევიდა შიგ. მეკარემ უჩვენა ოთახი და რაღაც სხვა თვალით შეხედა ნორას. მას არ ეჭაშნიკა ასე გვიან მარტო ქალის მისვლა. ჩქარა მან დაუძახა მოსამსახურეს და ოთახი გააღებინა. მოსამსახურე, როგორც დაჩვეული, იყო მაშინვე დაუწყო გამოკითხვა ვინ იყო, საიდან მოდიოდა. ნორამ უამბო, რომ ის ქალაქიდან ჩამოვიდა მარტო, არავინ არ ახლდა· მოსამსახურემ ულვაშებში ჩაიცინა „კარგი გოგონაა?“ გაიფიქრა მან. ნორა შევიდა ოთახში დაკეტა კარები, ტანთ არ გაუხდია ისე ჩაწვა ლოგინში და ჩაეძინა.

მოისმა ზარის წკრიალი. მოსამსახურე კისრის ტეხით გაიქცა ერთი ოთახისკენ. აქ თავი მოეყარა ათიოდე ახალგაზდას და ქეიფობდენ. ყველას, მეტის სმისაგან სახე ჭარხალივით დასწითლდებოდა, და თვალები დაბეროდათ. ზოგი ჩახრინწიანებული ხმით მღეროდა, ზოგი ლაპარაკობდა. არც ერთს ერთმანეთის არა გაეგებოდათ რა. სუფრაზე აუარებელი ბოთლები ელაგა, ზოგი ცარიელი და ზოგი ღვინით სავსე. ოთახის ჰაერი თამბაქოს ბოლით და სპირტის სუნით გაჟღენთილი იყო.

— ჰეი! ბიჭო! წამოიყვირა ერთმა, როცა მოსამსახურე შევიდა.—ჩქარა ეხლავე ქალები გააჩინე, მოგვიყვანე აქ. ათი ლამაზი, კეკლუცი ქალი. თითოს თითო გვინდა იცოდე. მოგვიყვანე და აქ მოგვისვი გვერდში. გესმის? გასწი ეხლავე.

— აბა, ჩქარა ქალები, ქალები! აღრიალდენ ყველანი·

მოსამსახურე იქვე იდგა და ხმას არ იღებდა.

— რას უდგეხარ, შე ოხერო, გასწი ეხლავე დაუყვირა ისევ პირველმა და ზეზე წამოდგა.

— ეხლა გვიანია, ბატონო და არავინ წამომყობა. სანთლით რომ ეძებოთ ათ ქალს აქ ვერ იშოვნით.

— უნდა იშოვნო!

— არ არის ბატონო.

— გააჩინე!

— სად გავაჩინო? ჩვენ სასტუმროში მხოლოდ ერთათ ერთი ქალია ისიც ეხლა ჩამოვიდა ქალაქიდან და კიდეც დაიძინა. ერთია, მარა ისეთია, რომ ოც ქალს სჯობია. აკ თვალს არ ენახება.

ლოთებს თვალები გაუბრწყინდათ [illegible]ებივით ყველამ კისერი წაიგძელეს და [illegible] მოადგათ.

— მოიყვანე ეხლავე!

— სძინავს, ბატონო, მე არ შემიძლია მოყვანა.

— მაშ ჩვენ წავალთ· წამოიძახეს ერთხმათ ყველამ და სუფრიდან წამოიშალენ.—სად არის?

— აი აქვე მეშვიდე ნომერში. ნუ ინებებთ წასვლას, შეიძლება „ისეთი“ ქალი არ არის და ხათაბალას გადაეკიდებით.

— ჩუმათ! ვინც უნდა იყოს ჩვენთვის სულ ერთია. წავიდეთ!

ყველანი ერთათ გამოვიდენ და მეშვიდე ნომრის კარებს მიადგენ.

სძინავს ნორას· ის ხედავს საშინელ სიზმარს ვითომ ის სდგას კლდის პირას, კლდის ზემოთ ხშირი ტყეა. აი ტყიდან გამოვიდა ვებერთელა დათვი ჩასისხლიანებული თვალებით შეხედა ნორას, თავი მაღლა აწია, გაიძაბა და გაქანებული წამოვიდა პისკენ, ნორამ საშინლათ შეჰკივლა, შემოტრიალდა და უფსკრულისკენ გადავარდა. ნორამ თვალები დააჭყიტა და თავის სახეზე იგრძნო ბანჯგვლიანი კაცის სახე, იმან ლოშნა დაუწყო. ნორამ საზარლათ დაიყვირა.

— მიშველეთ! ვინა ხარ? რა გინდათ? მიშველეთ!

— ჩუმათ გოგო! რა გაყვირებს·—მოესმა მას პასუხად. ვიღაცამ მაგრათ ხელები დააჭირა პირზე ნორამ ხმა ჩაიკმინდა, გონება დაკარგა. მას აღარაფერი გაუგია. ყველაფერი მიწყნარდა. ლოთები თავიანთ ოთახში დაბრუნდენ. თვითოეულმა მათგანმა დაიკმაყოფილა მხეცური ჟინი. არც ერთი მათგანი ხმას აღარ იღებდა.

სასტუმროს ჩვეულებრივი ცხოვრება ამ ამბით ოდნავათაც არ შერყეულა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩვეულებრივი ამბავი.

მეორე დღეს დილა ადრიან მოსამსახურეებმა თვალი მოჰკრეს ვიღაც თმა გაწეწილ ქალს. ის გიჟივით გამოვარდა ოთახიდან და ელვის სისწრაფით გაიქცა ქუჩაში. მოსამსახურეებმა ვერც კი მოასწრეს გაეგო ვინ იყო...

შუადღისას პოლიციელმა მდინარის პირათ იპოვნა ნორას შლიაპა და უფასო ბილეთი.

— უთუოთ ვიღაცას მდინარეში თავი დაუხრჩვია—ჩაილაპარაკა პოლიციელმა, ნორას შლიაპა და ბილეთი ხელში აიღო და პოლიციისკენ წავიდა...

**ირეთელი.**



**ცოლი.** რას გადაბრეცილხარ და ფეხზე ვეღარ დგები შე სალახანავ. ეგ არის აღარ დავლევ და ზაბასტოვკას გავაკეთებო.

**ქმარი.** მხოლოთ ცოტა გადავკარ, ზაბასტოვკა არ შეიძლება... მეშინია, ზაბასტოვკისათვის ვირის აბანოსაკენ გამასეირნებენ.

# სასიამოვნო ამბები.

**კეთილი განზრახვა.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბატონი B-ს წინადადებით და ალ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით გაზ. „დროების“ რედაქციასთან დაარსდა საგანგებო კომიტეტი, რომელიც მოაგროვებს შემოწირულებას „საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ კაპიტალისტთა გასამრავლებლათ“. იმედია ქართველი მუშები და გლეხკაცობა არ დაზოგავს თავისს წვლილს ამ კეთილი საქმისათვის, რომლის ინიციატორობა სავსებით ეკუთვნის პატივცემულ ბატონ B-ს.

—

**მეორე კეთილი განზრახვა.** ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ დამწვარ გურულთაგან შემდგარა ჯგუფი, რომელიც აგროვებს ფულს ამხანაგთა შორის, რათა დაეხმაროს „ქართველ-გამომცემელ ამხანაგობის“ უნუგეშო მდგომარეობას. როცა ამხანაგობის ვალებს გაისტუმრებენ, განზრახული აქვთ ბ-ნი ჯაბადარი საექიმოთ გააგზავნონ რომელიმე მჟავე წყალზე და თუ მოგროვილი თანხა ამ ხარჯსაც გადარჩა, ფიქრობენ ერთ-ერთ გადამწვარ ეზოში დარჩენილ შიშველ ბუხარზე იმისი ძეგლი დასდგან, რასაკვირველია ნიშნად ღრმა პატივისცემისა.

—

**მესამე კეთილი განზრახვა:** საზოგადოებაში დაჟინებით ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ამ ზაფხულში ქართული სცენის მსახიობნი მიემგზავრებიან საექსკურსიოთ ზუბალაშვილების სახალხო სახლში, სადაც დარჩებიან რამოდენიმე კვირეს სასცენო ხელოვნების შესასწავლათ.

—

**მეოთხე კეთილი განზრახვა:** ყურამდე მოაღწია სასიამოვნო ცნობამ, რომ ცნობილი მკითხავი ქალი ბაშინჯაგიანი დასთანხმებია საზოგადოების მიერ მიგზავნილ დეპუტაციას თითო სულელის მოტყუებაში ორ მანეთზე მეტი არას შემთხვევაში არ აიღოს.

—

**მეხუთე კეთილი გა ზრახვა:** თფილისის ქალაქის გამგეობას ორიოდ ექიმი მიუგზავნია მკითხავ ქალ ბაშინჯაგიანთან იმის გასაგებათ: მობრძანდება თუ არა წელს თფილისში ცნობილი სანიტარი ქ ნი ხოლერაო. მკითხავს გადაჭრით უპასუხნია ექიმისათვის: ამას რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა: შეიძლება მობრძანდეს, შეიძლება არაო.

ქალაქის გამგეობა მაინც ემზადება შესახვედრათ.

### ს უ რ ა თ ი.

გათენდა დილა .. ლაჟვარდსა ცაზე
მზე აღმობრწყინდა კაშკაშ-ელვარე
მიმოაფრქვია ირგვლივ სხივები
გაასისხლა ნასისხლი მხარე.
აზურმუხტებულ სწორ ველ-მინდორზე
ციური ცვარი ნაზათ ციმციმებს
და ბაღში ვარდის აფეთქილ კოკორს
უძღვნის კოკორი გრძნობათა სიმებს.
ნორჩ ნარგიზ-ყვავილთ უხვ სურნელებით
ნაზ-არსებანი იბნიდებიან
და ლაღ ოცნების ფაქიზი ფრთებით
დანავარდობენ... ცასა სწვდებიან.
ათასფეროვნად ჩანაქარგ მდელოს
ზედ დასცქერიან მთანი მაღალნი
და ადიდებენ ქვეყნის შემოქმედს
ცად აღმართულნი მისნი მწვერვალნი
ამ მთათა შორის, უღრან ხევ-ხუვში
ისმის მდინარის მღერა-დუდუნი
და ეფინება გარემიდამოს
მწყობრ-შეთანხმებულ ხმათა დუდუნი...
მაგრამ რას ვაქნევ ბუნების მეჯლისს
მშვენებით სავსე ტურფად მორთულსა
როს ჯოჯოხეთში სულს ჰღაფავს მოძმე...
არ აქვს მშვიდობა ხალხსა ტანჯულსა.
და მეტსაც ვიტყვი!.. მძაგს, მეზიზღება
ხვედრი ლაღ-შვილთა შვენით მტკბარ-თვრალის.
მაშ გაუმარჯოს საერთო მეჯლისს
და საერთო ხვედრს ტკბილ-მომავალის.

**გ. ქუჩიშვილი.**

---

# გურული სცენა.

### ნასყიდობის ბარათი ძველათ.

(ასლი)

ჩყკბ-სა წელსა, მარტის კდ დღესა მე ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმან, მცხოვრებმან ქუთაისის ღუბერნიასა შინა, ოზურგეთის ვეზრდისამან, ჩოხატაურის უჩასტკისა, ჯვარცხმის საზოგადოების, სოფლის ფინჩხეთისამან კნიაზმა გოჯასპირ გურგენის ძე ერისთავმა მოგყიდე მცხოვრებს ამავე ღუბერნიაში, ამავე ვეზდში, ამავე უჩასტკაში, ამავე საზოგადოებისა და სოფლის თავდახსნილსა ყმასა ჩემსა გლახუნა იობის ძე ცენტერაძეს ერთი ნაკვეთი ჩემდამო კუთვნილი საკუთრება მიწისა, მდებარე ამავე ღუბერნიაში, ამავე ვეზდში, ამავე უჩასტკაში, ამავე საზოგადოებაში და სოფელში სახელწოდებით ოჩოჩხა, ზომით მარგალიტად ერთი ქცევა, რომელსა ამა ნაკვეთსა აქვს საზღვრები აღმოსავლით მზისა, ესე იგი რომელ წინაალმდეგ მზის დასავლისა არს როჩო, წოდებული კიბულად—დასავლეთით, რომელისა მხარესა ჩადის საღამოსა ჟამსა მზე და წინაალუდგებოდეს აღმოსავლეთსა აქვს სასოფლო გზა, ჩრდილოეთით რომელსა მხარესა მზე აროდეს ჟამსა ადგებოდეს და რომელ იყოს წინაალმდეგ სამხრეთისა, აქვს საზღვრათ თხრილი თხმელისა ჩქოლითა შემორგული და მიწა თხრილს გაღმა მხრითა მდებარე ეკუთვნის საერისთო აზნაურსა მღეეელაძესა, ხოლო მეოთხესა მხარესა წოდებულსა სამხრეთეთად, რომელი პირისპირ უმზერდეს ჩრდილოეთსა, არის საისრე თავდაუხსნელისა ყმისა ჩემისა გოგია ჩიბურდანიძისა ფასათ ამა ერთისა ნაკვეთისა მიწისა მე კნიაზმან ერისთავმან მივიღე სრულად ოცდა თუთხმეტი მანეთი ვერცხლის ფული (ლე) და მაქვს მიღებული კმაყოფილება სრული და გეძლევა უფლება დღეისა რიცხვიდგან ისარგებლო ძემან და ასულმან შენმან უკუნითი უკუნისამდე და უკეთუ მოცილე ანუ მოდავე მოგადგეს მე მოგაშორო და არც მე და მემკვიდრემან ჩემმან დაგირღვიოს ესე პირობა და უკეთუ დაგირღვიოს, იყოს შეჩვენებული ღვთისა მიერ, რასა შინა ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ კნიაზი გოჯასპირ გურგენის ძე ერისთავი.

ბრძანებითა დასტურითა ყოვლად მოწყალისა და ბრძნისა კნიაზის გოჯასპირ გურგენის ძე ერისთავისათა და წყალობითა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესითა ვწერ მე მსახური ღვთისა ღვთის მშობლის კარისა ეკკლესიის ხელდაუსხმელი დიაკონი ქრისტესია საკურთხაძე.

(რადგან „წყალობითა ღვთისათა“ დაარღვიეს მემკვიდრეებმა ,,ესე ვითარი‘‘ ნასყიდობა და წაკლავენ ,,მეჟამანიის‘‘ დროს გლეხებს და ყველას ,,დაუსპორეს‘‘ სამსჯავროში წარსადგენათ თარგმნიდნენ ასეთ საბუთებს).

**პიტნა.**



### პესუ და კოხტა.

**კოხტა**. გამარჯობა მეგრელო შენი კაი.

**პეხუ**. ღმერთის გაგიმარჯოს.

**კოხტა**. ხომ ნაღდი მამასახლისი გამოგიგზანეთ მეგრელებს.

**პეხუ**, ისუ ერემილა ჭყონია თქვებური კაცია?

**კოხტა**. ჩვენებური კი არა, თლათ ყურის მეზობელია, კარი კარზე გვაქვს მიჩემებული.

**პეხუ**. მერმეთი და როგორი შეგინებული იყო ის თქვენში.

**კოხტა**. შეგინებული ძალიანი. რომ დასჭირდება სულში ჩაგიძვრება, გულს რომ ამოგძიძგნის გვერდში გაგიძვრება.

**პეხუ**. მერე ეგია თქვენი კაი თუ რათი გვქონდა ქრთამის წაიღო, მართახით ზურგის ტყები აიღო.

**კოხტა**. ვაი წავხთი, საჯაყი აგი არაა, აგენი რომ ჩვენ გვესაყვედურებოდეს, თქვენ არ ხართ რომ რაც თხაპარია ყაზილარები გეყარენ ყველაყაი სტრაჟნიკებათ შემოგვისიეთ და გაგვამწერეთ! მარა იგი იგენს, ბარე ორი აჭყვირდა საზდო გოჭსავით და თუ ბუნებამ დროი გადმუაბრუნა კიდო ბარე ორს დასჭირდება ვავაიეს ორირამაჯ.

**პეხუ**. მე კი ვარ შეგინებული მუშა დაამგენმა ვირი დეიჭიროს მინდორს.

**კოხტა**. შენ სად მუშაობ.

**პეხუ**. მა ქალპატენ ანენტას ზაოდს ვმუშაობქა შვას.

**კოხტა**. ვინ ანეტაია მეგრელო?

**პეხუ**. ფუთის თუ ყოფილხარ ანენტა რო არი პეტენი ჩიჩუას ნოხასუ.

**კოხტა**. უიტ, ამას რავა ვერ ვიცნობ, შარშან აბიაშჩიკები მომდევდა და გაჭივრებული რომ დამინახა მანაც დროი მიშონა და ნიორის ფასათ შემაღლიტა ზანტუკის სისხუანი ხეები მარა ისე მუუხერხე ბარე ოცი ტლიკვი მეც კი შევაღლიტე განიდან მერე რავა იმასთან სხვაი მუშაობდა.

**პეხუ**. იმგენი ხაზეინენქ სუყველა გამოყარენ.

**კოხტა**. რავა გამოყარენ ნაგავი ხომ არ ყოფილა.

**პეხუ**. დიახუ გამოყარენ იგენის არდგილას ჩვენ სულ მერგელები ვმუშენთ შუბლაძექ მიგვიყვანა.

**კოხტა**. ვინ შუბლაძეა რას მიჩივი ბრიყვულს, ასე რავა იქნება იგი კაცები ჩაბერდა იქინეი.

**პეხუ**. ოღმერთმანი მართალს ვამბობ ქ.

**კოხტა**. მერე ორ-ორის თვის ჯამაგირი მისცეს?

**პეხუ**. მისცესუ კი არა დესეტნიკენქ ყამა დო ლენკურით სულ ქაცარებივით გადენან ყველა.

**კოხტა**. ვაი დედავ რას ტლიკინობს ნეტაი აგი მეგრელი. ანეტაი ამას რავა იზამდა, სული რომ ყორყში ქონდა გაკეტებული მაშინ კაი მეგრელი იყო და ახლა ქვეყნის ოფლით გაბერილი წიქარიეი რომ შეირთო და სული მეიბრუნა იგენი ქუჩაში გამოყარა და აგი ხულიგანები შემოყარა.

**პეხუ**. უკაცრავათ ჩვენ ხულიგანუნი რატო ვართ შეგინებული მუშეფი.

**კოხტა**. კაი შენ და შენ ხაზეინებს მუუვიდეს კაი შეგნებული თქვენ ყოფილხართ. მარა მეიცადეთ ხვალ თქვენ ამოგკრავენ ჩითლახს, აღარც ფულის იქნებით, აღარც ყანის, მერე დაჯექი და იდიდინე სიჩერჩელა.

**პეხუ**. იჟე რას ფხიკოფქ გურული.

**კოხტა**. (გულმოსული) გაზი აქიდან, ხულიგანის სალაპარაკო ტუნჩი მე არ მაქ თვარა [illegible]

**პეხუ**. დუდის მერქვათუნქო ილოართა ხორციელი სიმომეხვარი.

სუ.

---

# · მედროვე ·

(იხილე ჟურნალი „მათრახ-სალამური“ № 1).

**ეფრემა**. მაკრინე, გადი გარეთ. ვინცხა არის გონი, შეჭამა ძაღლებმა. (მაკრინე გადის, შემოდის თეკლე ჩით ს ძველ კაბაში ჩაცმული, ხელში ძუძუმწოვარა ბავშვი უჭირავს).

**თეკლე**. დილა მშვიდობის ბატონო.

**მათე**. დაჯექი ქალო, ხომ აფერი გაგიგია გოგიეს.

**თეკ**. რას გევიგებდი შენი ჭირიმე. სიახლოვეს არ მიმაკარეს.

**ეფრ**. ასეა. უდანაშაულო კაცს ქე აწვალებენ ასე ტყვილაი. მაინც ახი ქია! ბიჭო რა მაგის საქმეა იგენის აყოლა. ვერ დაჯდები ყაზახი შენთვის. მარტო კაკალი კაცი ხარ, ნუ გეშინია მოსწრებული აფერი გყავს შინ. იყავი შენდა და თუ გაკეთდება რამე—შენდაც გაკეთდება. მაინდამაინც უნდა შიარგო თავი შიგ და აგია ახლა ქე დეიღუპა კაცი. რამდენი გზობა უთხარი: გოგია ჭკუით იყავი, გადააფურთხე ეშმაკს, ნუ აყოლიხარ მაგენს, არაა შენი საქმე მეთქი. ვერ დავაჯერე! საქმე ძალიან კარგი საქმეა. ისეა დაწყებული, რომ არ გათავდეს ისე, როგორც ხალხს უნდა არ შეიძლება. მარა რა მაინც და მაინც შენ უნდა შესწირო თავი. იყავი შენთვის და ერთს თუ შენ გააკეთებ მეორე მეორემ გააკეთოს. შენ სულ რომ აფერი არ ქნა მაინც გაკეთდება. ჩვენ მარტო რა შეგვიძლია. იქენეია საქმე, პეტერბურგია საქმე. იქენეი უნდა საქმე თვარა, აქანე რა გამუა. მე მაინც გლახა საქმე მიქნა, მარა ისე ჩემა ღმერთმა და ჩემა საიქიომ იცოდეს რამდენი კაკალი კურცხალი მე გადმოვყარე, მისი დაჭერა რომ გევიგე.

**თეკლე**. დედავ რავა არ გეწყინებოდა, ჩემო ბატონო. სულ რა რომ იყოს, კარის მეზობელი ვიყავით. შენი ოჯახი მისდღემჩი პატივცემული იყო ჩვენი. მარა მე თუ ვერ გადაგიხდი, ან კი მე რას გადაგიხდი აი გლახა დედა კაცი, მარა ჩემი შვილები მაინც გადაგიხთიან ჩემს პატივისცემას და შენ იცი და შენმა ღმერთმა. ღმერთმა ნუ მომასწრას ჩემი ბალღების გაზდა, და იი გოგიე ნუ მომიყვანოს შინ ცოცხალი თუ, შენ რომ გნახე გუშინ, მერე თუ ერთი დამემუხლებიოს. დავრბივარ

იქით-აქეთ, აი ჩვილი ბაღანაი მოვკალი ნარპენი თვარა სხვას ვინ ჩივა. შინ კიდევ ბაღნები უპატრონოთ დავტიე. ნენას შეუთვალე. თუ მივიდა ხომ კაი. დავრბივარ მის მერე და არ იქნა აქამდის ფულის შოვა, ერთი სამი თუმანი ქე მიშონა ანდრიამ, მარა სხვაი. ვერსად ვერ ავაკლიე. მერე ას მანეთიანი მარჩენალი ძროხა ხუთ თუმნათ ძლივს წაიყვანეს, იგიც დიდი დამადლებით. ვაი იმდენ წელიწადს არ გეიხარა ჩემი ბაღნების დამაწყევარმა და შენიც ნუ გენაღლება ჩემო ეფრემ, რამდენ დღეს ჩემსას აღარ დეიბღავლოს ძროხამ. მარა ვინ ჩივა შენი ჭირიმე, ოღონდ გოგიეი გამევიდეს და არც ძროხა მინდა და არც ხარი. მერე ორ თუმანში ორმოც მანათიანი ნოხ-ფარდაგი მივეცი და კიდევ ვექსილი. რას ვიზამდი. არ იქნა შოვა. ახლა შენ იცი ჩემო ბატონო. შენ და შენი ღმერთი. თუ მამახმარ ამ სიმწრით მოხეკილ ფულს ხომ კაი და თუ არა რავქნა. შენ კარგათ იყავი და მე მაინც ძაღლის საქმელათ ვარ და ვიქნები (ითვლის ფულს და აძლევს) ღმერთო კი ხედავ ჩემს საქმეს. თუ მე აფერში დანაშავე არ ვიყო და ტყულე გამამწარა ტერებმა, ისე გაუმწარე დღეი და ღამე ჩემს შემაწუხებელს.

**ეფრ.**—ღმერთი უშენოთაც კი უზამს სამაგიეროს. (ითვლის ფულებს) ჩვენი ვეცადოთ და ღმერთი მოწყალეა.

**მათე**—რას იზამ ჩემო დაია, ასეა. უმტერო კაცი არაა. ასე დაღუპვენ მართალ კაცს. მარა გოგიე არ მგონია რომ გაგზავნონ. ვითომ რა იქნა ამ კაცმა რომ არ მეისვენა. ყოლიკაცის საქმეს მაგი როგორ გააკეთებდა, იყავი კაცო შენთვის. თუ დაგსაქმენ გააკეთე, მარა გააკეთე ისე რომ არ გაგიგოს არავინ. სხვაიც კი აკეთებს რაცხას, მარა ქვეყანას არ ატყობიებს. საქმეში გამოცთილება უნდა. რა საჭიროა მაინც და მაინც ქვეყანამ იცოდეს თუ რას აკეთებ. ხომ იცი უმტერო კაცი არაა. ახლა ჩემო დაია, რომ ღმერმა მშვიდობით მოგგვაროს შინ დაარიგე, რომ ძალიან ფრთხილათ იყოს. ეყოფა მან რომ აკეთა, იმდენი აწი სხვა გააკეთოს და თუ გასაკეთებელია რამე ქე გაკეთდება, თვარა გოგიე შეწირული ან თავზე შემორებული ხომ არ არის. თავს არავინ არ გადაგაყოლებს. ხომ ხედავ გაგიჭირდა აგერ და ისევ ჩვენ თუ რამეს დაგეხმარებით თვარა სხვაი აფერს.

**თეკლე.** ღმერთმა ნუ მომიშალოს თქვენი თავი ჩემო მათე. თუ არ მოვკვდი ძაღლის ნაკბენივით დაგისწავლით (იქით. მაგენმა დამღუპეს და ახლა მე გეხმარებით) თქვენს პატივის ცემას. აბა ეხლა მე ქე წავალ და თქვენ იცით და შენმა ღმერთმა.

მიმსახურე მისდღემჩი ჩემი ქმარ-შვილიანა და საცდელს ნუ მიაკლებ.

**ეფრემა.** რას ამბობ ქალო. საცდელს რავა მივაკლებ. იგი არა შენ რომ არ მოსულიყავი დღეს, მე მაინც მივდიოდი იქნება გამეკეთებია რამე. ეხლა კი უფრო იმედიანათ მივდივარ. შენ ჭკუით იყავი და გოგიეს მოსვლამდი ოჯახს მოუარე.

**თეკლე** აბა მშვიდობით და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. (აიყვანს ბაღანას და გადის).

**მათე.** (შვილს) კოლია, გაყევი ძალმა არ უკბინოს. (ეფრემას) მიხელაის ბიჭი დეიჭირეს წუხელის. ხუცესიც გაუჩხრეკიან, ანტონაის ბიჭს ძალიან ეძებენ. პეტრე გაპარულა. წუხელი მთელი ღამე უარიან. შენ წახვალ ეხლა და მოელაპარაკები გოგიას და ბესარიონის საქმეზე ისინი გაანთავისუფლოს. იმ ფულებიდან ნაწილი მიუტანე. სხვა აქ დასტოვე. ამასთან გადაეცი რომ ანტონაის და გაბილაის ბიჭი ერთად ყოფილან ეს ამდილას გაბილამ მითხრა. არიან ამ და ამ ადგილას, რაღა ამ და ამ ადგილას, მეხუზლაიისას არიან. მე მთხოვა გაბილამ წავიდე და ის ბიჭები შევარიგო მთავრობას. მე შევპირდი საღამოს ავალ, მანამდი არა მცალია მეთქი. ასე რომ ჩემს მისვლამდე ისინი იქ იქნებიან. ეს გადაეცი და მაგენის საქმეც მოაწყე. ეხლა პირდაპირ შედი, საფიქრელი არაა. ვინც შეგხდეს უთხარი რომ საწყალი გოგიეი დაიჭირეს და იქნება რამე უშველო თქვა.

**ეფრემა.** მე ერთი შინ მინდოდა დღეს ჩასვლა. იმ ბიჭს გამოუშობდი, რაცხა საახალუხე უნდოდა. ტიტველია აი საცოლო ყაზახი. თან კიდევ დღეს მაჭანკალს ველოდი საბოლოოთ მინდოდა საქმე გამეთავებია იმ გოგოზე.

**მათე.** კაცო რა გეჩქარებათ რომ არ ვიცი, დეითქვით სული. თუ ასე წევიდა საქმე, ხომ ხედავ რაცხა ორი გროში ქე შემოგვდის, ბიჭიც გამოეწყობა, სახლსაც მოაწყობ და მაშინ ორი იმაზე უკეთესი და მეტ ფულიანი იშოვება. შემოგვეხვეწებიან კიდეც. რავა ბიჭი ოქროსავითაა. იგი რომ კარგათ გამეეწყობა თავადისშვილს არ ჩამოუვარდება.

**ეფრემა.** მაი ანბავი ჭკუაში მომივიდა მე. მართლა რომ ასე ჯობია. აბა კაი, ერთი ლუკმა ხეფსი ვჭამოთ და ამასობაში ბესარიონის ფულიც მოვა და ბარემ აქედან წავალ.

**მაკრინე.** სუფრა გარიგებულია. დეიბანეთ ხელი და მოით ოჯო. ნულარ აცივებთ რაცხაა ამას. (მიდიან სასადილოთ)

**ბაცილა.**

(დასასრული იქნება)

# ტიტეს ვაქებდეთ ართმელაძესა.

„ვის არ უყვარს ხათაბალა
და არც უნდა შეხვდეს პირი;
„ფუსუნსალა“ მოღვაწეზე
არ წამოსცდეს სიტყვა ძვირი“

ამბობს ქართული ანდაზა, და თუ ვინიცობაა არ ამბობს, იმედია მომავალში მაინც იტყვის და იტყვის იმიტომ, რომ დაინახავს თუ ნიგოითის „აღმაშენებელი“ ტიტე ართმელაძე, კოწია თუმანიშვილის მიერ ნაკურთხი და ხელ-დასმული, როგორ კორიანტელს აყენებს „ივერიის“ ნაცარში. თითონ ქურუმი „ივერიისა“ რასაკვირველია განცხრომაშია, ვინაიდან ტიტეს მიერ აყენებული ავსურნელოვანი კორიანტელი საკმევლის—კმევა ჰგონია და კიდევაც იმიტომ უთითებს მასზე თავისს მკითხველებს. „ფუსუნსალას“ კი სხვა რა უნდა, ოღონდ ჩასვით აზროვნების სანაგვეში!

წინეთაც მოვახსენე პატივცემულ ჩვენს მკითხველებს, რომ არა სახარბიელოა ჩვენი, საეშმაკო ისტორიკოსების, ხვედრი მეთქი და ახლა თითონ დაინახავთ თავისი ბედნიერი თვალებით, თუ როგორ ძნელი ყოფილა მართლა ჩვენი მოვალეობა.

სიკეთე სიკეთისათვის სხვას ვის უქნია, რომ ტიტე ართმელაძეს ექნა ჩვენთვის, მაგრამ, მიუხედავათ მისი „ფუსუნსალური“ სულის კვეთებისა, არც ეგზომ უმადურობას მოველოდით. თითქმის ათიოდ წელიწადია, რაც ბ-ნი ართმელაძე, უკაცრავათ პასუხია „მოღვაწეობს“, ე. ი. აწვალ-აწამებს თავის გონებას და არა თუ მისი სახე, სახელიც კი არავის გაგონილი არა ჰქონდა. თუ ვინმე ემადლიერებოდა მის „მოღვაწეობას“ ეს ისევე პატივცემული ვირთხები, რომელთაც სრულ განკარგულებაში დაბეჭდვისათანავე. გადადიოდა მისი გონებრივი სიბეჩავის ნაწარმოებნი ისინი იყვნენ მისი მკითხველებიც, მჭამელებიც და დამფასებლებიც. ამიტომაც თამამად შეეძლო ტიტე ართმელაძეს თავისი „ნაწარმოებისათვის“ დაერქმია: „სადღეისო საუბარი სოფლელ თაგვებთან“.

მიუხედავათ ტიტეს მოღვაწეობის ესოდენ უბადრუკობისა, ჩვენ საჭიროთ დავინახეთ „ისტორიისთვის“ შეგვენახა როგორც მისი სურათი, აგრეთვე „მოღვაწეობის“ ნაყოფიც. ამ კეთილის მოსაზრებითა და განზრახვით გავბედეთ იმ უმსგავსო ბოდვისა და დაუსრულებელი ტრაბახის წაკითხვა, რომლებსაც ტიტე ართმელაძის ენის ქავილთან და ტვინის ხიცინთან მჭიდრო კავშირი აქვთ. ოფლი დავღვარეთ, სისხლი წავიხდინეთ და ქვეყანას ვამცნეთ: „არის ქვეყანაზე ერთი პატარა კაცუნა, რომელიც თავის თავს სამართლიანათ უწოდებს ფუსუნსალას, რომელსაც უზომო სურვილი აქვს წერისა და წარმოიდგინეთ მეცნიერებასაც, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ განგება ერთობ სასტიკათ მოიქცევის და ხელ ცარიელი დაუტოვებია მეთქი“. ამგვარათ ქვეყანას გააცნო—მისი არსებობა—მოღვაწეობა, თუმცა ბეჩავი და უსუსური.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ მისი უმადურობა!

იმის მაგივრათ, რომ ჩემთვის სამადლობელი წერილი გამოეგზავნა ასეთი ყურადღებისათვის, რომ ჩემი სახელი სალოცავათ გაეხადა, მომდგომია და „ივერიის“ გავერანებულ მანდვრებზე საყვედურებსაც მეუბნება. მერმე როგორ გრძლათ, როგორ უშნო-უაზროთ, როგორ ტიტურათ ანუ რაიცა იგივე და იგია, როგორ ტეტიურათ! ამ მხრით თუ შევხედავთ, მის ნიჭს ზოგადი წინმსვლელობაც ეტყობა. ვერაფრით ვერ ამიხსნია ტიტე ართმელაძის ჩემდამი ესეთი უმადურობა. ვფიქრე: იქნებ ეს ტიტეს ფუსუნსალური ოინებია, რომლითაც უნდა კიდევ გამომტყუოს ერთი პატარა წერილი მეთქი და ვგონებ ეს ყველაზე უფრო ახლოა სიმართლესთან, რადგან სხვა პირობებში მართლაც რომ გამიჭირდებოდა მეორეთ დაბრუნება ასეთ არა სასიამოვნო საგნისადმი.

ასეა თუ ისე, ჩვენ ერთხელ კიდევ მოვხსნით თავს ართმელაძის „ჩამოღვაწევს“, რომ კვლავ გავახსენოთ მკითხველებს მისი არსებობა და არსებობის მიზანი. როგორც წინანდელ წერილში, ახლაც ის განზრახვა მამოქმედებს, შეძლებისდაგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ თვით ბ-ნ ართმელაძეს. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი უმთავრესი ყურადღება იყო და იქნება მიქცეული მის კურიოზიულ სამწერლო მოღვაწეობაზე და არა სასოფლო მეურნეობაზე.

„„ივერიის“ მე-23 ნომერში ბ-ნი ტიტე ართმელაძე ასე დადადებს ჩემზე:

„ახალმოდის „კრიტიკაიი“ (ისტორიკოსი) ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ ჩემი „სადღეისო საუბარი სოფლელ მკითხველთან სრული სისულელე და ბოდვათა ბოდვაა და რომ იმის წაკითხვით არც ერთი გონიერი ადამიანი არ შეიწუხებს თავსო“

სრული ჭეშმარიტებაა! თუ კი ვისმე გაუგონია ამ „საუბრის“ შინაარსი და ან იცნობს იმის ავტორს, რასაკვირველია მის წაკითხვაზე თავს აღარ შეიწუხებს და თუ ვინმემ შეცდომით ან იძულებით (როგორც მაგალითად მე) წაიკითხა, უეჭველია განცვიფრდება და განცვიფრდება იმ ადამიანის უმეცრებით, რომელმაც ასეთი „საუბრის“ დაწერაზე თავი შეიწუხა. ზოგიერთა ისტორიკოსები იმ აზრისანი არიან, თითქო ნაბეჭდ სიტყვას, მიუხედავათ სულელური შინაარსისა, მაინც სარგებლობის მოტანა შეეძლოს მკითხველისათვის. ამას იმით ასაბუთებენ, რომ თუ ცოდნას ვერ შეიძენს კაცი კითხვას მაინც შეისწავლის და ამ სისულელის კითხვაზე შეძენილი ვარჯიშობა, სასარგებლო წიგნის წაკითხვის დროს გამოადგებაო. მე არ ვარ ამ მოსაზრების თანახმა, მაგრამ ტიტე ართმელაძის „ნაწარმოები“ არც ამ კითხვაში სავარჯიშო მასალათ გამოდგება. მიზეზი გახლავთ სრული უცოდინარობა ქართული ენისა. მისი საუბარი აღსავსეა

ისეთი შეცდომებით, რომლის გაგონებაზე ქვებიც კი ატირდებიან.

აი სახელდახელოთ ერთი მაგალითი ტიტეს „საუბრისა“.

„ამიტომ არ იქნება მეტი აქვე შევეხოთ (გაკვრით) იმას, თუ ვინ როგორ მოქმედებდა ზემო ჩამოთვლილ საშვალებაებთა, ხალხისთვინ, მოპოებისთვინ—დღევანდელი მოძრაობის წინა წლებში“.

არ იფიქროთ ეს განგებ გამონახული იყოს, პირიქით ეს ერთი უკეთეს ადგილთაგანია ტიტე აროშელაძის „სასოფლო საუბრიდან“. საზოგადოთ უნდა აღვნიშნო, რომ გაუგებარი კილოსი და უმსგავსო აზრების ძებნა დიდხანს არ დაგჭირდებათ ამ საუცხოვო ნაწარმოებში, ვინაიდან ტიტე ერთობ გულუხვია ამისთანაობაში. აითუ გნებავთ დახუჭეთ თვალი, გადაშალეთ მისი საუბარი და დაადევით თითი რომელიმე ადგილს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველგან რაიმე ყოვლად უმსგავსო და უსუსური შეგხვდებათ.

აბა ვახსენოთ ღმერთი: იცოდეთ ჩემს დაპირებას ასრულებით ვიცავ; თვალები დახუჭული მაქვს. აი გადავშალე და თითიც დავადე. მეორმოცე გვერდი გამოდგა. ეს გახლავთ თავი VI. მისი სათაური: „კაპიტალისტების ბჭყალებისგან მშრომელ ხალხის გამონთავისუფლებისათვის რას უნდა ვებრძოლდეთ და რას ვებრძვით“. გახსოვდეთ რომ ტიტეს საზოგადოთ გრძელი სათაურები უყვარს, ვინაიდან „გრძელი სიტყვის მოკლეთ გამოთქმა“ მისთვის მიუწდომელი ხილია. იქ, სადაც ხელი დავადევი თვალ დახუჭულმა, ამ კითხვაზე ასეთი „მეცნიერება“ სწერია: —

ვსთქვათ, მკითხველო, მე ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული და შენ უიარაღოთ მივდივართ გზაში ერთად. შენ რაიმე მიზეზისა გამო ცოტა უკან ჩამომრჩი. დახე იღბალს... ამ დროს ტყიდგან გამოვარდა პირდაფჩენილი მგელი და მოგაშურა შენ შესაჭმელათ. მე ეს რა დავინახე, წამსვე შენთან გავჩნდი და სანამ გახელებული მხეცი შენ გეცემოდა, მის გაფჩენილ ხახაში ჩემი ხანჯლის ჩაცემა მოვასწარ. ამით შენც ისარგებლე, ჩემს ხმალს თვალის დახამხამებაში სწვდი და გახელებულ მგელს კისერში დაჰკარ... ამ ნაირათ, ხმალ-ხანჯლის შემწეობით თავიც გადავირჩინეთ და მგელიც თავისთავად ავკუწეთ».

ეს აღბათ პოლიტიკური ეკონომიის ბრძანდება. ხმალ-ხანჯალი „მოსაუბრის“ აზრით კაპიტალს უდრის, როგორც უსულო საგანს. ერთი ახირებული ზნე მჭირს ჩემო მკითხველო: სახელდობრ არ მიყვარს სხვის ჩემდამო უმადურობას, უმადურობითვე ვუპასუხო. ასეა ტიტეს შესახებაც. თუმცა იწყინა მან ჩემი ისტორიული საუბარი მის შესახებ და გამლანძღა, მაგრამ მე მაინც თავს არ დავზოგავ ის და მისი „საუბარი“ ჯეროვანად გავაცნო მკითხველ საზოგადოებას. ამიტომ გულახდილათ მოგახსენებთ, რომ ტიტე ცოტა ტრაბახი კაცია. მისი ჯურის მეცნიერებს ყველას ასე სჭირთ და რადა ის ჩამორჩებოდა ვითომ! ის კი არ იფიქროთ, ვითომ არ იცოდეს მან, რომ „თავის ქება კიტრათ ღირს და კიტრი კაპეიკათ“. ესეც იცის. იცის მაგრამ ზემოთ მოყვანილ ციტატაში მაინც ენერგიულათ აგვიწერს თავისს სიყოჩაღეს „მგლისთვის დაფჩენილ პირში ხანჯლის ჩაცემის“ შესახებ და მართალიც არის: ტიტე იმდენათ ცნობილი მეცნიერი არ უნდა იყოს, რამდენათაც გულადი მეომარია. მთელს „საუბარში“ ნათლათ გამოსჭვივის მისი გულადობა-მედიდურობა, მხოლოდ საანდაზო ფონისა არ იყოს, ერთ ალაგას მოსდის მარცხი.

აი მოვუსმინოთ:

«გარეთ მყოფს უფრო პატივისცემით ეპყრობოდენ და აი ეს გამოვიყენეთ ჩვენც: ჩამოვიდოდი, თუ არა სოფელში მაშინვე ვკრებდი ერთად საზოგადოებას (რასაკვირველია მამასახლისის დახმარებით) და უხსნიდი მათ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებას».

როდესაც ნიგოითის აღმშენებელი ამას სწერდა, ცხადია გათვალისწინა, რომ ხალხის „ერთად შეკრებისათვის“ მადლობას არ ეტყოდენ, ვეღარ გაუძლო გულს სიმაგრეს და დასტანა, „რასაკვირველია მამასახლისის დახმარებითო“.

საბრალო „მეცნიერი“ განა ამაში ვინმე ეჭვი შეუვიდოდა? განა ვინმე იფიქრებდა, რომ ტიტეს შეეძლო საიდუმლოთ ხალხი შეკრება და მათთან ისეთ რამეზე ლაპარაკი, რაც ყველა მამასახლისის მოვალეობას შეადგენს? რასაკვირველია ასეთ „არასაიმედობას“ მას არავინ დასწამებდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „სული ტკბილიაო“ იტყვიან.

თუ რომ ამ ბოლო ხანებში ტიტეს უფრო შემოსწყრენ, ამის საბუთებიც იმავ „მამასახლის და მის მაგვართა“ თანხმათ მოქმედებაში უნდა ვეძიოთ. წინეთ ის მარტო ქაღალდზე მახინჯობდა, მაგრამ ახლა ცხოვრებაში მოქმედებით დაიწყო „რასაკვირველია მამასახლისის დახმარება“ და შეიძლება ეს ისმე არ ესიამოვნა. კერძოთ მე, ყოველთვის მაინტერესებდა მისი, უკაცრავათ პასუხია „ლიტერატურული მოღვაწეობა“ და თუ კიდევ ვისთვისმე საჭირო იქნება მისი გონებრივი სიჩლუნგის დამტკიცება, შეგიძლიათ მიმსახუროთ.

ისტორიკოსი.



# დაბა-სოფლები.

**ნაძალადევი.** ძმაო ეშმაკო! იქნება
საქმე გაქვს, არა გცალიან,
მაგრამ მოგვხედე რადგანაც
შავი დღე გვადგას ძალიან.

საქმე იმაშია, რომა ერთმა მკითხავმა დედაკაცმა ლამის დაგვაძვალტყაოს. მოგეხსენება ყველა ასეთი გაიძვერა მატყუარა მხოლოდ უვიცისა და ღარიბის ზურგზე დანავარდობს, ალბათ ამიტომაც მოიკალათა ნაძალადევის უბანში.

მოდი ერთი მეგობარო,
შეიარე მის ბინაზე...
ნახე მისი თვალთმაქცობა,
სიცუდლუტე და სინაზე.
გამოჰკითხე, როგორც იცი
ამა სოფლის ავი, კარგი,
და გარწმუნებ არ იქნება
დრო ურიგოთ დანაკარგი.

შენ გაიგებ თუ რა მცირე ოინბაზობაა საჭირო ჩვენი ბეჩავი ხალხის მოსატყუებლათ. გაიგებ თუ აგრეთვე გარეგნულათ ვითომდა „შეგნებულ“ ადამიანში რამდენი სათაკილო ცრუ-მორწმუნოება იმალება. დიახ, ეს ყველაფერი ნათლათ წარმოგიდგება, როცა ჩვენი მკითხავი ნატოს კლიენტებს გაიცნობ. მაშ ნუ გაგვაწბილებ და შენი მათრახიანურთ შეიარე მეთერთმეტე უბანში, ვლადიმირის ქუჩაზე, მალხაზოვის სახლში.

შედი, კარგათ მოისმინე
ჩვენი ნატოს ნაუბარი
და თუ ღირსად დაინახო
მათრახზე არ უთხრა ვარი.

შენი სისონ.

—

**სად. წიფა.** (დარდები მუატის გადაყენებისა გამო.)
ალექსიმ ჰკითხა ნესტორსა
სად არის ჩვენი მუატი?
მოხუცებული კი იყო,
ჯან სალათ იყო კურატი.
ნესტორმა უთხრა: ალექსი!
აბა რა გითხრა მისაო
მისი ადგილი უფროსმა
ვიღაც კავშირინს მისცაო.
თუ რომ ეს დარჩა იცოდე
ჩვენ დაგვადგება სიცხეო,
და ზამთრობითაც ჩვენ ჯიბეს
შამოაკლდება სისქეო.
რაი მოვიდა წყეული
მუშებს უმატებს ფულსაო
მისი ასეთი მოქცევით
ჩვენ კი გვილონებს გულსაო
მუატის ხელში ხომ იცი
რა რიგათ იყო საქმეო
ჩვენ მხიარულათ ვიყავით
მუშებს კი ეგოთ მახეო,
ხომ გახსოვს ძმაო ზამთრობით
რა ოინებსაც ვშვებოდით
მაგრამ ვინ გვყავდა კანტროლი
ხელ უხლებელათ ვრჩებოდით.
ორ ორ სამ-სამჯერ ერთ მუშას
ვაღებინებდით ფულებსო,
ჩვენ კი ჯიბეში ვიწყობდით
ისინი ყრიდენ ყურებსო.
როცა შეგვიტყვეს ეს ხრიკი
ერთს მუშას კიდეც მიცხესო,
და, იმის გამო, ზოგიერთს
თავისიც აღარ მისცესო.
ჩვენ კი რა გვენაღვლებოდა
ჩვენ მაინც ჩვენი გვერგოვო
და იმის დარდი რას გვქონდა
ვიღაცა მუშა ეგდოვო,
იმ ფულებიდან ხომ იცი
ცოლ შვილს ჩავაცვით ფარჩაო
ახლა კი რაღა იქნება
თუ კავშირინი დარჩაო.
ალექსის ამის გამგონეს
გაუხმა ყელის დაზგაო,
ისე გაშეშდა საბრალო
რომ ენა ძლივას დაძრაო.

ძმაო ეშმაკო! ასეთია მათი მდგომარეობა ღ. კარგი იქნება თუ ჩამოხვალთ; სალამურის ღიღინზე იქნებ ცოტა მაინც გამხიარულდეს ორი ობოლი. შენ აგრეთვე ეტყვი სადგურის უფროსის თანაშემწეს რომ ყვირილი და ბავშვების ცემა არ ვარგა თქო. სხვებიც ეუბნებიან მაგრამ არ უჯერის.

კონკრობა.

—

**ოზურგეთი.** ჩვენში, რომ გამოიაროთ უსათუოთ შეხვდებით ერთ ფრიად ჩამრგვალებულ ყმაწვილს სტუდენტის ფორმაში. ჩვენში კარგათ იცნობენ ამ ვაჟბატონს. ეს გახლავთ „მიასწარი ფერშალი“, ე. ი. უფრო მდაბიურათ რომ ვთქვათ არსენ ვადაჭკორია. საინტერესოა ამ „მიასწარი ფერშლის“ ბიოგრაფია. მას ჟამსა შინა ის ზეინკლათ იყო ოზურგეთში. შემდეგ ჯარში უკრეს თავი, იქ „როტნი ფერშლობა“ მიიღო და დაბრუნდა სახლში, „გაპროფესორებული“. წარსულ შემოდგომაზე მან ხმები გაავრცელა უნივერსიტეტში მივდივარო, ეხლა კი მოგვევლინა „სტუდენტის“ ფორმით“. საინტესოა რომელ უნივერსიტეტში სწავლობს ბ ნი არსენი. ნეტა ვიცოდეთ არის სადმე

ისეთი უნივერსიტეტი, სადაც „მჭედლებს“ ღებულობენ? თუ ასეა ოზურგეთის მჭედლები ყველანი სიხარულით შევლენ.

ერთი კაი მათრახი ყველაფერს ათქმევინებს „მიასწარი ფერშალ-დოხტურ-სტუდენტს“.

Z.

—

ს. მიქელ-გაბრიელი. (სამღერა).

მე გახლავარ მამედ ბეგი,
ჯურიანთის „სტარშინაო“,
მაგრათ იყავ, მათრახს ხელი!
გულო რამ შეგაშინაო.
ჩემი ხასა თუ კარგათ მყავს
ვიძუნძულებთ ცხენითაო,
რას დამაკლებს სოფლელები
ცარიელი ხელითაო.
ისეთ-ისეთს ვუთავაზებ
ფეხზე ვერვინ დგებოდესო,
ძველი ჩემი მოადგილე
ყყელას ენატრებოდესო.
უფროსთან რომ დამასმინეს
ახლა ნატონ ფეთებაო...
(ხოლო ჯერ კი დამაცადონ
საქმის გამოკეთებაო).

თოლა-ბულთა

ვთხოვთ პროვინციის ამხანაგებს მოკვაწოდონ დაბა სოფლების ამბები, მოკლეთ და მახვილათ დაწერილი. მხოლოდ აღნიშნონ სისწორით და მიუდგომლად. მართალ პირზე უბრალოთ ნუ გადაგვაკვრევინებენ მათრახს.

## კიდევ აზეფი.

რუსეთის გაზეთებში კიდევ განაგრძობენ აზეფზე წერას. ის ჯერ კიდევ არ დაუვიწყიათ. „რუს. სლ.“-ში ტროცკი მოგვითხრობს თუ როგორი გავლენა მოახდინა აზეფის ამბავმა ს.-რევოლიუციონერთა პარტიაზე.

„ამხანაგმა ქალმა—ლ-მ თავი მოიკლა. ცენტრალური კომიტეტი მალავს მის სიკვდილს“.

ასეთი ლაკონიური დეპეშა მიიღო ამ დღეებში ლ-ს მეგობარმა ლოზანსკაიამ.

ლ. აზეფის მარჯვენა ხელი იყო. მას სიკვდილის წინათ წერილი დაუტოვებია სადაც აშკარაა სჩანს თუ რა საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია მაზე აზეფის ამბავს:

„მას შემდეგ რაც გამოაშკარავდა აზეფის პროვოკაცია მე გიჟივით დავდივარ და ვერ მომისვენია. ხან-დახან მე წარმომიდგება, თითქო ჭერი და კედლები თავზე მენგრევოდეს. ისე საშიშარ წუთებს განვიცდი, რომ ხმირათ თმებს ვიგლეჯავ, თავს კედლებს ვახეთქებდი, რომ ჩავახშო საშინელი ტანჯვა.

გაიგეთ, რაზე დავკარგე მე ცხოვრების საუკეთესო დრო? ვის შევსწირე ახალგაზდობა, ჯანმრთელობა და ძალა?

საზიზღარს, ყოვლად დაცემულ ადამიანს.

საშინელება არ არის რვა წლის განმავლობაში სატუსაღოს და „ოხრანკის“ მეტი არაფერი იცოდე კაცმა?? მე ვერ ვასწრობდი სატუსაღოდან გამოსვლას, რომ ის მგზავნიდა მე სხვა საქმეზე და ისევ ციხეში მგზავნიდენ.

ვისთვის იყო საჭირო ჩემი ტანჯვა? ვისთვის? აზეფისთვის, რომელიც გაჭრობდა ჩვენით, როგორც პირუტყვებით.

როცა კუოკალაში დინამიტის საწყობი დაიჭირეს, მე ჩემი ეჭვი განვუცხადე აზეფს და მან მითხრა.

— თქვენ მართალი ხართ! ეს შეუძლებელია! საჭიროა კარგათ გავერკვეთ.

აბა ვინ წარმოიდგენდა თუ მოღალატე იყო თვით ის ვისი ინიციატორობითაც გაიმართა საწყობი!

კუოკალაში გახსნილი დინამიტის საწყობი აზეფის საქმე იყო. მოაწყო ყველაფერი და შემდეგ გასცა.“




## იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 30 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . . . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა . . . . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, თეოფილე ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.



ზაფხულობით კონკით მოგზაურობა თფილისში.

## ოზურგეთის რეალურ გიმნაზიის მომწყობ კომისიას.

გურიიდან გარდახვეწილი, გურიის შვილი სიამოვნებით და გულის ძგერით ვადევნებ გაზეთებში თვალ-ყურს გურიის ცხოვრებას: წავიკითხე ოზურგეთში რეალური გიმნაზიის გახსნის ამბავი ალტაცებაში მოვედი და ოცნების სამთავროში შევტოპე. თქვენს ასეთ მტკიცე ერთ სულოვან გარდაწყვეტილებას ციხეშიც კი სითბო შეუტანია (იხ. „მათრახი და სალამური“ № 1, ბ. ჩხიკვიშვილის წერილი ადესიდან). შებორკილი ტუსაღებიც თანაგრძნობით ეგებებიან და ჩვენ უბორკილოებს რაღა ღმერთი გაგვიწყრება, რომ ასეთ დროს ჩვენ მშობელ მხარეს არ დავეხმაროთ. მხნეთ მეზობლებო! კეთილი საქმე ყოველთვის იშოვნის თანამგრძნობს, მე ჩემის მცირე ბიუჯეტიდგან ჯერჯერობით მოგართმევთ ხუთ თუმანს და შემდეგშიაც ვეცდები შეძლებისა დაგვარად დავეხმარო ამ მთელი გურიის საამაყო საქმეს და სანამ შრომა შემეძლება ვალდებულათ ვიხთი თავს, ყოველწლიურათ შემოვიტანო 25 მანეთი.

**სიმონ ეგნატეს ძე კონტრიძე.**

იუმორისტულ-პოპულიარული, ყოველ-კვირეული, სურათებიანი ჟურნალი

# „მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით—2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Теофилу Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.

რედაქტორ გამომცემელი ე. ტურობელიძე